შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 3

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 5

საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება 6

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1.ზოგადი ინფორმაცია 7

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი 8

3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 10

4. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება 11

5. ამონაგები 11

6. გაყიდვების თვითღირებულება 11

6. გაყიდვების თვითღირებულება (გაგრძელება) 12

7. სხვა შემოსავალი 12

8. შრომის ანაზღაურება 12

9. გაყიდვის და მიწოდების ხარჯები 12

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 13

11. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო 13

12. საინვესტიციო ქონება 14

13. ძირითადი საშუალებები 15

14. არამატერიალური აქტივები 16

15. მარაგები 16

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 17

17. საგადასახადო აქტივები / ვალდებულებები 18

18. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები 18

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 18

20. უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება 18

21. პირობითი ვალდებულებები 19

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 20

23. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 21

	შენიშვნა	**2019**	**2018**
ამონაგები	5	5,281,611	5,701,232
გაყიდვების თვითღირებულება	6	(2,796,026)	(2,141,006)
საერთო მოგება		**2,485,585**	**3,560,226**
სხვა შემოსავალი	7	186,598	58,661
შრომის ანაზღაურება	8	(920,762)	(1,140,105)
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	9	(157,586)	(42,034)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(543,985)	(477,505)
ცვეთა და ამორტიზაცია		(67,193)	(69,494)
საოპერაციო მოგება		**982,657**	**1,889,749**
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო	11	(39,312)	18,028
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი		(18,510)	(21,317)
წლის სრული შემოსავალი		**924,835**	**1,886,460**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 29 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ მაია გურგენიძე

7 – 29 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	5	5,281,611	5,701,232
გაყიდვების თვითღირებულება	6	(2,796,026)	(2,141,006)
საერთო მოგება		**2,485,585**	**3,560,226**
სხვა შემოსავალი	7	186,598	58,661
შრომის ანაზღაურება	8	(920,762)	(1,140,105)
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	9	(157,586)	(42,034)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(543,985)	(477,505)
ცვეთა და ამორტიზაცია		(67,193)	(69,494)
საოპერაციო მოგება		**982,657**	**1,889,749**
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო	11	(39,312)	18,028
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი		(18,510)	(21,317)
წლის სრული შემოსავალი		**924,835**	**1,886,460**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 29 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ მაია გურგენიძე

7 - 29 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება	12	287,023	311,571
ძირითადი საშუალებები	13	173,792	88,719
არამატერიალური აქტივები	14	3,113	4,590
		463,928	**404,880**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	15	2,162,476	1,679,927
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	884,325	765,816
საგადასახადო აქტივები	17	118,280	-
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	18	416,141	1,699,568
		3,581,222	**4,145,311**
სულ აქტივები		**4,045,150**	**4,550,191**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		2,630,508	2,733,683
		2,630,508	**2,733,683**
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	17	-	98,505
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	1,414,642	1,718,003
		1,414,642	**1,816,508**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**4,045,150**	**4,550,191**

7 - 29 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2017 წლის 31 დეკემბერი	**3,637,722**	**3,637,722**
გაცემული დივიდენდი	(2,790,499)	**(2,790,499)**
წლის სრული შემოსავალი	1,886,460	**1,886,460**
2018 წლის 31 დეკემბერი	**2,733,683**	**2,733,683**
გაცემული დივიდენდი	(1,028,010)	**(1,028,010)**
წლის სრული შემოსავალი	924,835	**924,835**
2019 წლის 31 დეკემბერი	**2,630,508**	**2,630,508**

7 - 29 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1.ზოგადი ინფორმაცია

შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ - კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2007 წლის 26 ივლისს. ის რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, თბილისში, ვაკის რაიონში, ფალიაშვილის ქუჩა N116, საიდენტიფიკაციო ნომრით: 205216023.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ინგლისური ენის სწავლება-პოპულარიზება, წიგნების რეალიზაცია.

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

მფლობელები	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მაია გურგენიძე (01006014768)	100%	100%
	100%	**100%**

კომპანიის ფაქტიური მისამართია ქ.თბილისი, დიდი დიღომი, ვეფხისტყაოსნის ქ. N 92.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია წარმოადგენს მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შვილობილ კომპანიას - შპს „წმ. გიორგის უნივერსიტეტი“ (405286168), რომელიც დააფუძნა 2018 წლის აგვისტოს თვეში და დღემდე არის 100%-იანი წილის მფლობელი.

ჯგუფში თანამშრომელთა რაოდენობა 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შესაბამისად 53 და 34 ადამიანი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ასევე შესადარისი მონაცემები მოცემულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მიერ მსს ფასს სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

ჯგუფი იყენებს ერთი და იმავე სააღრიცხვო პოლიტიკას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდისათვის. ეს სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაშია ყველა იმ სტანდარტთან, რომელიც ძალაშია კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი პერიოდებისთვის.

მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად წინასწარი კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაციის მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომელთა მიმართ შედარებით მაღალი დონის განსჯის გამოყენებაა საჭირო, რთულია ან წინასწარი ფინანსური ინფორმაციისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოითხოვს, გამჟღავნებულია მე-3 შენიშვნაში.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც ჯგუფი ახორციელებს საქმიანობას. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის სამუშაო ვალუტა.

რიცხვები კონსოლიდრებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

შეფასების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე, იმ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში.

როგორც 22-ე შენიშვნაშია განხილული, ხელმძღვანელობამ მიმოიხილა კორონა ვირუსის-COVID 19-ის გავლენა ჯგუფის ფუნქციონირებაზე და შეიმუშავა სამოქმედო გეგმა. ამ გეგმაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობა მოელის გარკვეული სახის უარყოფით გავლენას საკუთარ საქმიანობაზე, მაგრამ ეს არ შეუქმნის რისკს ჯგუფის ფუნქციონირებას. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის დაშვების გამოყენება საფუძვლიანია.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაბნევასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმოქმნილი უფლებები;
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ჯგუფი ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება გადაიხედება, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი აქტივიდან სარგებლის მიღებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (მსდ) გასაზომად ჯგუფი აჯგუფებს სავაჭრო მოთხოვნებს მსგავსი ვადიანობისა და საკრედიტო რისკის საფუძველზე. მოსალოდნელი დანაკარგის განაკვეთის დაანგარიშება ეფუძნება ჯგუფის საკრედიტო ზარალების ბოლო სამი წლის ისტორიულ მონაცემს. საკრედიტო დანაკარგების ისტორიული განაკვეთები დაკორექტირებულია მიმდინარე და სამომავლოდ პროგნოზირებადი ინფორმაციით, იმ მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომელბიც მოქმედებენ ჯგუფის მომხმარებლებზე.

დაბეგვრა - ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამო ჯგუფს შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

4. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება

ჯგუფმა 2019 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეცვალა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებილი წლისთვის მომზადებული სრული შემოსავლის ანგარიშგება.

	თანხა ცვლილებამდე	რეკლასიფიკაცია	თანხა ცვლილების შემდეგ
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
საერთო მოგება			
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	3,439,805	(3,439,805)	-
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	2,261,427	(2,261,427)	-
ამონაგები	-	5,701,232	5,701,232
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2,051,246)	2,051,246	-
გაყიდვების თვითღირებულება	-	(2,141,006)	(2,141,006)
საოპერაციო მოგება			
სხვა შემოსავალი	32,514	26,147	58,661
შრომის ანაზღაურება	(1,159,707)	19,602	(1,140,105)
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	-	(42,034)	(42,034)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(585,405)	107,900	(477,505)
წლის სრული შემოსავალი			
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო	39,883	(21,855)	18,028
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	327,230	438,586	765,816
გადახდილი ავანსები	438,586	(438,586)	-
			-
	2,743,087	**-**	**2,743,087**

5. ამონაგები

ამონაგები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	2019	2018
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	4,917,077	3,439,805
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	364,534	2,261,427
	5,281,611	**5,701,232**

6. გაყიდვების თვითღირებულება

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს წლის განმავლობაში რეალიზებული წიგნების თვითღირებულებას. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები). რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი. რაც შეეხება მომსახურების თვითღირებულებას, აქ შედის სასწავლო კურსების მასწავლებლების და

6. გაყიდვების თვითღირებულება (გაგრძელება)

ტრენერების ხელფასები, ასევე წლის განმავლობაში განხორციელებულ პროექტებზე გაწეული ხარჯები, როგორიცაა გაცვლითი პროგრამების ორგანიზების და მსგავსი ხარჯები.

გაყიდვების თვითღირებულება 2019 და 2018 წლების განმავლობაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019	2018
პროდუქციის თვითღირებულება	(2,540,729)	(2,051,246)
მომსახურების თვითღირებულება	(87,343)	(24,110)
იჯარის ხარჯი	(167,954)	(65,650)
	(2,796,026)	**(2,141,006)**

7. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
შემოსავალი იჯარიდან	135,593	-
სხვა	51,005	58,661
	186,598	**58,661**

8. შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურების ხარჯი შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	2019	2018
ხელფასი	(915,966)	(1,132,649)
სხვა სარგებელი	(4,796)	(7,456)
	(920,762)	**(1,140,105)**

9. გაყიდვის და მიწოდების ხარჯები

გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები მოიცავს შემდეგი სახის ხარჯებს:

	2019	2018
მარკეტინგული ხარჯი	(123,809)	(38,212)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	(5,334)	-
მივლინების ხარჯი	(28,443)	(3,822)
	(157,586)	**(42,034)**

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
მივლინების ხარჯი	(160,225)	(177,311)
უიმედო ვალების ჩამოწერის ხარჯი	(135,896)	(102,309)
ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯი	(41,364)	(19,490)
პროფესიული მომსახურების ხარჯი	(37,080)	(13,954)
საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(33,590)	-
საოფისე ხარჯი	(27,945)	(20,762)
საგადასახადო ხარჯი	(23,171)	(90,855)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	(20,275)	(17,543)
საბანკო ხარჯი	(16,297)	(9,227)
სატრანსპორტო ხარჯი	(15,132)	(3,078)
საპენსიო შენატანის ხარჯი	(13,114)	-
წარმომადგენლობითი ხარჯი	(2,797)	(516)
სხვა ხარჯი	(17,099)	(22,460)
	(543,985)	**(477,505)**

11. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო

ფინანსური შემოსავლები და ხარჯები წამოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
ფინანსური შემოსავალი		
საპროცენტო შემოსავალი	9,225	32,809
	9,225	**32,809**
ფინანსური ხარჯი		
საპროცენტო ხარჯი	(48,537)	(14,781)
	(48,537)	**(14,781)**
	(39,312)	**18,028**

12. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოდეგნილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	შენობა-ნაგებობები	სულ
2017 წლის 31 დეკემბერი	**453,194**	**453,194**
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	**453,194**	**453,194**
შემოსვლა		-
გასვლა		-
2019 წლის 31 დეკემბერი	**453,194**	**453,194**
დაგროვილი ცვეთა		
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბერი	**(120,852)**	**(120,852)**
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(20,771)	**(20,771)**
გასული საინვესტიციო ქონების ცვეთა	-	-
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	**(141,623)**	**(141,623)**
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(24,548)	**(24,548)**
გასული საინვესტიციო ქონების ცვეთა	-	-
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	**(166,171)**	**(166,171)**
საბალანსო ღირებულება		
2018 წლის 31 დეკემბერი	**311,571**	**311,571**
2019 წლის 31 დეკემბერი	**287,023**	**287,023**

13. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	დაუმონტაჟებელი მოწყობილობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
2017 წლის 31 დეკემბერი	**147**	**690**	**195,022**	**74,244**	**154,282**	**424,385**
შემოსვლა	27,874	-	15,444	95	-	**43,413**
გასვლა	-	-	-	-	-	**-**
2018 წლის 31 დეკემბერი	**28,021**	**690**	**210,466**	**74,339**	**154,282**	**467,798**
შემოსვლა	118,033	-	154,261	-	-	**272,294**
გასვლა	(146,054)	-	-	-	-	**(146,054)**
2019 წლის 31 დეკემბერი	**-**	**690**	**364,727**	**74,339**	**154,282**	**594,038**
დაგროვილი ცვეთა						
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(242)**	**(129,294)**	**(65,161)**	**(138,176)**	**(332,873)**
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(95)	(26,228)	(3,777)	(16,106)	**(46,206)**
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	-	-	**-**
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(337)**	**(155,522)**	**(68,938)**	**(154,282)**	**(379,079)**
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(112)	(37,328)	(3,727)	-	**(41,167)**
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	-	-	**-**
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(449)**	**(192,850)**	**(72,665)**	**(154,282)**	**(420,246)**
						-
საბალანსო ღირებულება						**-**
2018 წლის 31 დეკემბერი	**28,021**	**353**	**54,944**	**5,401**	**-**	**88,719**
2019 წლის 31 დეკემბერი	**-**	**241**	**171,877**	**1,674**	**-**	**173,792**

14. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	ლიცენზიები	სულ
2017 წლის 31 დეკემბერი	**23,772**	**23,772**
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	**23,772**	**23,772**
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	**23,772**	**23,772**
		-
		-
დაგროვილი ცვეთა		-
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბერი	**(16,665)**	**(16,665)**
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(2,517)	(2,517)
გასული არამატერიალური აქტივის ცვეთა	-	-
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	**(19,182)**	**(19,182)**
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(1,477)	(1,477)
გასული არამატერიალური აქტივის ცვეთა	-	-
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	**(20,659)**	**(20,659)**
		-
საბალანსო ღირებულება		**-**
2018 წლის 31 დეკემბერი	**4,590**	**4,590**
2019 წლის 31 დეკემბერი	**3,113**	**3,113**

15. მარაგები

კომპანიაში მარაგები წარმოდგენილია გასაყიდად განკუთვნილი წიგნების და სხვა ნედლეულის და მასალების სახით.

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
წიგნები	2,156,720	1,675,519
საწვავი	2,133	3,623
სხვა მარაგები	3,623	785
	2,162,476	**1,679,927**

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	255,833	327,230
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	16,858	-
გაუფასურების რეზერვი	(33,590)	-
სულ ფინანსური მოთხოვნები	**239,101**	**327,230**
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	645,224	438,586
სულ არაფინანსური მოთხოვნები	**645,224**	**438,586**
სულ	**884,325**	**765,816**

ჯგუფი ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

დებიტორული დავალიანების ხანდაზმულობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია შემდეგნაირად:

	31.12.2019	გაუფასურების კოეფიციენტი	გაუფასურების რეზერვი
მიმდინარე	-		
ვადაგადაცილება 0-60	214,858		
ვადაგადაცილება 61-180	-		
ვადაგადაცილება 181-360	7,385		
ვადაგადაცილება 361-720	-		
ვადაგადაცილება >720	33,590	100%	(33,590)
მოთხოვნები გაუფასურებამდე	**255,833**		**(33,590)**
გაუფასურების რეზერვი	(33,590)		
წმინდა მოთხოვნები	**222,243**		

ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრისთვის:

	31.12.2018
მიმდინარე	-
ვადაგადაცილება 0-60	45,115
ვადაგადაცილება 61-180	10,172
ვადაგადაცილება 181-360	203,766
ვადაგადაცილება 361-720	58,848
ვადაგადაცილება >720	9,329
მოთხოვნები გაუფასურებამდე	**327,230**
გაუფასურების რეზერვი	-
წმინდა მოთხოვნები	**327,230**

17. საგადასახადო აქტივები / ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე -118,280 ლარი (აქტივი) და 98,505 ლარი (ვალდებულება).

18. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაღდი ფული სალაროში	4,990	6,034
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	191,787	1,688,824
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	219,364	4,710
	416,141	**1,699,568**

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1,362,837	1,206,852
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	151	18
სხვა ვალდებულებები	22,161	473,619
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,385,149**	**1,680,489**
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	29,493	37,514
სულ არაფინანსური ვალდებულებები	**29,493**	**37,514**
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**1,414,642**	**1,718,003**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე.

20. უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება	257,929	256,118
	257,929	256,118

21. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს ჯგუფში შემავალი არცერთი კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვან სასამართლო დავაში. ხელმძღვანელობის აზრით არ წარმოიქმნება რაიმე არსებითი, დაურიცხავი ზარალი და შესაბამისად, წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი შექმნილი არ არის.

გადასახადები – ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც ჯგუფს შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - ისეთ განვითარებად ბაზრებს, როგორიც საქართველოა, ახასიათებთ განვითარებული ბაზრებისგან განსხვავებული რისკები, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, ასევე სამართლებრივი და საკანონმდებლო რისკები. კანონები და რეგულირება, რომელიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, ისევ სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი საფუძვლები სხვადასხვა ინტერპრეტაციებს ექვემდებარება. საქართველოს სამომავლო ეკონომიკურ მიმართულებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ისევე როგორც სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური გარემო.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით, კორონა ვირუსით გამოწვეული ეფეტი წარმოადგენს არამაკორექტირებელ მოვლენას, შესაბამისად პროგნოზები და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რელევანტურია და არ საჭიროებს ცვლილებას აღნიშნული მოვლენის (კორონავირუსი) გამო.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონა ვირუსის დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა. ზოგადად ვირუსმა შესაძლოა ბევრ ინდუსტრიაზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა შემდგომი მიზეზების გამო:

- საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული შემოსავალი, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალო ინსტრუმენტების ჩათვლით
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და საქონლის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

რაც შეეხება, უშუალოდ ჯგუფში მომხდარ ცვლილებებს, 2020 წლის თებერვალში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ (205216023) - ის საკუთრებაში გადავიდა კიდევ ერთი შვილობილი კომპანია შპს Unique Learning (404921545), რომლის 100%-იანი წილის მფლობელი კომპანიების გაერთიანებამდე იყო მაია გურგენიძე (01006014768).

გარდა ამისა, 2020 წელს მოხდა ჯგუფიდან პარტნიორზე დივიდენდების გაცემა, რამაც 2020 წლის 1 იანვრიდან, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე ჯამურად შეადგინა 328,173 ლარი, რითაც შემცირდა ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები ვრცელდება ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგენილ ყველა პერიოდზე, თუ საწინააღმდეგო არ არის ნათქვამი.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. გადაფასება არ ეხება არამონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსები წლის ბოლოს მდგომარეობით იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო	გირვანქა სტერლინგი
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	2.8677	3.2095	3.7593
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6766	3.0701	3.3955

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფული და ფულის ექვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულს გზაში, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ექვივალენტებში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. შემოსავალისა და ხარჯის ურთიერთგადაფარვა არ ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ეს არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და კონკრეტულად გამჟღავნებული არ არის ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმოქმნილი ფულადი

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება ჯგუფს, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ამონაგები

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით. ამონაგები შემცირდება ფასდათმობისა და მსგავსი გამოქვითვების შეფასებული ოდენობით.

ჯგუფი იყენებს ხუთ ეტაპიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები აღიარდება მომსახურების დასრულებისას, როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ამონაგების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია;
- მოსალოდნელია, რომ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა;
- შესაძლებელია მომსახურებასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ფინანსური ხარჯი

საპროცენტო ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ამ მეთოდის შესაბამისად გადავადდება ყველა ის საკომისიო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია სესხის მიღებასთან, რადგანაც ოპერაციის ხარჯები ჩართულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

დაბეგვრა

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არარეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა მოგების გადასახადში.

ჯგუფი აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნის დროს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ავალდებულებს კომპანიას გადაიხადოს გადასახადი. გადასახადები დაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. კერძოდ:

- შესყიდვის ფასს, მათ შორის საბაჟო გადასახადს და აუნაზღაურებად შესყიდვის გადასახადს, სავაჭრო ფასდაკლებებისა და ფასდათმობების გამოქვითვის შემდეგ;
- ნებისმიერ დანახარჯს, რაც აუცილებელია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სახით აქტივის მოხმარებისთვის საჭირო ადგილზე განთავსებისა და საჭირო მდგომარეობაში მოყვანისთვის;
- აქტივის დემონტაჟის, გატანისა და ტერიტორიის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას;
- მოვალეობას, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის მიერ აქტივის შეძენის შემდეგ ან გარკვეულ პერიოდში აქტივის მარაგის წარმოების გარდა სხვა მიზნით გამოყენების შედეგად.

საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივების ღირებულება მოიცავს პირდაპირი შრომისა და გამოყენებული მასალების ღირებულებას, ასევე აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დანახარჯს და ნივთების დემონტაჟისა და თავიანთი ადგილმდებარეობიდან მოხსნის ღირებულებას. ძირითადი საშუალებისთვის შეძენილი კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მისი ფუნქციონალურობისათვის აუცილებელია, კაპიტალიზდება როგორც შესაბამისი ძირითადი საშუალების ნაწილი.

როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადა ერთმანეთისაგან განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალ-ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/სხვა ხარჯების ნაწილში.

შემდგომი ხარჯები

თავდაპირველი აღიარების შემდგომი კაპიტალიზებადი ხარჯები მოიცავს რემონტისა და აქტივის შეცვლის იმ დანახარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებს აქტივის სასიცოცხლო ვადას ან ზრდის მწარმოებლურობას. რემონტისა და შენახვის ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზებადი ხარჯების კრიტერიუმებს, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ის გაიწევა, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ცვეთის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა იანგარიშება ცვეთადი ღირებულებიდან, რომელიც არის აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

ძირითადი საშუალებების მნიშნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო მომსახურების ვადები
შენობა-ნაგებობები	20 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5 წელი
სატრასპორტო საშუალებები	5 წელი
საოფისე აღჭურვილობა	5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
სხვა	5 წელი

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება საღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც ჯგუფი ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. ჯგუფი საინვესტიციო ქონების აღრიცხვისთვის იყენებს თვითღირებულების მოდელს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომელთა ინდივიდუალური შეფასება ვერ ხერხდება, ერთიანდება მცირე აქტივთა ჯგუფებში. ეს ჯგუფები („ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული“, „ფსწე“), მუდმივი გამოყენების პირობებში, უზრუნველყოფენ ფულადი ნაკადების ისეთ შემოდინებას, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან აქტივთა ჯგუფის მიერ წარმოქმნილი ფულადი ნაკადებისგან.

აქტივის ან „ფსწე“-ს ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და საბაზრო ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებს შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით ასახავს ფულის დროში ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და ამ აქტივებისთვის

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. აღიარებული გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში გამოყოფილია აქტივების საბალანსო ღირებულების შესამცირებლად თანაბარი პროპორციის საფუძველზე.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუფასურების ზარალის შემცირების ან აღმოფხვრის რაიმე ნიშნის გამოსავლენად ხელახლა ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. გაუფასურების ზარალი კორექტირდება, თუ ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებაში გამოყენებულ დაშვებებში ცვლილებას ჰქონდა ადგილი. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ მიაღწევს იმ ღირებულებას, ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით, რაც ექნებოდა აქტივს, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ჯგუფის ბალანსზე არსებული მარაგები წარმოდგენილია წიგნების სახით, რომელიც განკუთვნილია გასაყიდად. ასევე, საწვავის სახით რომელიც გამოიყენება საოპერაციო საქმინობაში.

მარაგის ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის მიხედვით.

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის სხვაობა აღიარებულ აქტივებსა და აღიარებულ ვალდებულებებს შორის. წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში კომპანიის საკუთარი კაპიტალი შედგება დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისგან. შვილობილი კომპანიის საწესდებო კაპიტალი კი შედგება მშობელი კომპანიის მიერ განხორციელებული შენატანებისაგან, რომელიც აღიარდება რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშნველობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელობას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს ჯგუფის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);

- კანონმდებლობიდან; ან

- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს ჯგუფის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს ჯგუფთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი საეჭვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საეჭვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძვლად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საეჭვო ვალების ანარიცხების ცვლილება.